საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არსენ II

არსენ II, X ს. საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, ქართლის კათოლიკოსი ყოფილა დაახლ. 955–980. აღუწერია ასურ. მამათა – იოანე ზედაზნელის, ისე წილკნელის და შიო მღვიმელის ცხოვრება. ეს *თხზ.* „ასურელ მამათა ცხოვრებათა“ მოკლე რედაქციაა; თავდაპირველი სახით მას ჩვენამდე არ მოუღწევია. XI–XII სს-ში იგი მეტაფრასულ ყაიდაზე შეუვსიათ და განუვრციათ. სწორედ ამ რედაქციებს შემოუნახავთ ცნობა ა. II-ის ავტორობაზე.

თხზ. იხ.: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

შ. ონიანი